

შპს „ლუქსი ინტერიერი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შპს "ლუქსი ინტერიერი"
 ფინანსური ანგარიშგების
 შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის თანხები მოცემულია
 ერთეულლარში

		შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	867853	1 156 846	
სავაჭრო მოთხოვნები			0	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		101513	34160	
მარაგები	7	1898394	1395108	
- სხვა				
ბიოლოგიური აქტივები				
სხვა არამატერიალური აქტივები		31200	3538	
ძირითადი საშუალებები	8	391,316	457727	
სულ აქტივები		3,290,276	3047379	

ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	9	181293	483123
საგადასახადო ვალდებულებები	10	60214	108302
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11		127914
სხვა ვალდებულებები	12	136357	110809
სულ ვალდებულებები		377864	830148

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		2000	2000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		2910412	2215231
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		2912412	2217231
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3290276	3047379

გენერალური დირექტორი

გ.მახათაძე




შპს "ლუქსი ინტერიერი" ფინანსური ანგარიშგები საქმიანობის შესახებ 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

		საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	13	7698268	6795285
მომსახურების გაწევიდან			
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	3387058	2712157
საწყისი მარაგები		1395108	1275095
მარაგების შესყიდვა		3890344	2832170
გადამუშავების დანახარგები			
საბოლოო მარაგები		1898394	1395108
საერთო მოგება		4311210	4083128
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	15	2266002	2022144
ცვეთა და ამორტიზაცია		116566	146866
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		1249436	1095616
სულ საოპერაციო ხარჯები		3632004	3264626
საოპერაციო მოგება		679206	818502
გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		-16027	-231274
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	16	359774	272685
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1022953	859913
მოგება/(ზარალი)		1010333	858923
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2217231	1455412
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		315789	150526
კაპიტალის სხვა ცვლილებები		637	53422
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	17	2912412	2217231

გენერალური დირექტორი

გ.მახათაძე




შპს "ლუქსი
ინტერიერი"
ფულადი მოძრაობის
შესახებ
2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის
ერთეულლარში

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობიდან	-288 993	581 294
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	-288 993	581 294
სავალუტო კურსი ეფექტი		
ფული და ფულის ექვივალენტი წლის დასაწყისში	1 156 846	575552
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	867 853	1 156 846

გენერალური დირექტორი გ.მახათაძე



შპს „ლუქსი ინტერიერი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1.1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს „ლუქსი ინტერიერი“ -ს ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის გამოსაცემად მომზადდა დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბერს გადაწყვეტილების შესაბამისად.

შპს „ლუქსი ინტერიერი“ (შემდგომში „კომპანია“) საინდეფიკაციო კოდი 205097633 შეიქმნა 2005 წელს 25 ოქტომბერს, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი 1.

კომპანიის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი გიორგი მახათაძე ფლობს 35% წილს და 65% ფლობელები არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის 3 მოქალაქე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ჭურჭლით, საათებით და ძვირფასეულობით ბიჟუტერიით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

1.2 საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე.შესაბამისად კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. საქართველოს საგადასახადო ,სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრიტაციას და ხშირ ცვლილებას. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გატარებული

ეკონომიკური,ფინანსური და მონეტარულ პოლიტიკაზე და ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტუკური გარემოზე. ხელმძღვანელობას არ შეუძლია შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანიის მენეჯმენტი იყენებს ყველა საჭირო ზომას, რომ შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2.შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე და გაანგარიშების საფუძველი

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობისდა პირვანდელი (ისტორიული) ღირებულებების პრინციპის გათვალისწინებით.

შპს „ლუქსი ინტერიერი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

2.3 საოპერაცია და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელსაც ასახავს ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას. ფინანსური მდგომარეობა წარდგენილია ლარში.

2.4 შეფასებებისა და მსჯელობის გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშლოვანი პოლიტიკა

1. კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მითითებებს მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით. გადასვლის თარიღი არის 1 იანვარი 2018 წელი.

2. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საოპერაციო ვალუტაში განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. თითოეული საანგარიშო პერიოს ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მუხლით „მოგება(ზარალი) საკურსო სხვაობიდან“.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია გაცვლითი კურსები:

31 დეკემბერი 2024

1 USD/GEL
1 EUR/GEL

2.8068
2.9306

შპს „ლუქსი ინტერიერი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და /ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებთან და სხვა პირდაპირი ხარჯებთან. ძირითადი საშუალებები, რომლებსაც გააჩნია სხვა და სხვა სარგებლოვის ვადა აღირიცხება ცალ-ცალკე. ყველა დანარჩენი შეკეთება და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ამ როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით.

3.1 ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მაშინ, რაც აქტივი შედის გამოყენებაში, აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები,

	<u>2024</u>
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
სარეკლამო საშუალებები	5
ელექტროსაშუალებები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10

3.2 არამატერიალური აქტივი

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები წარმოდგენილი თავდაპირველი თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივი სასარგებლო გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან შეზღუდული. განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება 15%-ით, მისი განუსაზღვრელი ვადა გადაიხედება ყოველწლიურად იმის განსასაზღვრად, აგრძელებს თუ არა იგი ამ ვადით ფუნქციონირებას.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლის ან იმ მომენტში, როდესაც არანაირი ეკონომიკური სარგებელი არარის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა.

3.3 ლიზინგით აღიარებული აქტივი/ფინანსური იჯარა

მსს ფასს მე 20 განყოფილების მიხედვით მოიჯარეს იჯარით მიღებულ აქტივებზე ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა, თუ მასზე გადადის იჯარით აღებული აქტივისთან ფლობასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი. ამ შემთხვევაში აქტივი ლიზინგის დაწყების თარიღისთვის აღიარდება მისი საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით. ამავდროულად, შესაბამისი თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე.

შპს „ლუქსი ინტერიერი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

ყველა სხვა იჯარის ხარჯები აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. სხვა ასოცირებული დანახარჯები, როგორც რემონტის დანახარჯები და დაზღვევა, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში ხარჯის გაწევისთანავე.

3.4 სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებისა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, საბაჟო გადასახადს, ტრანსპორტირებისა და ნებისმიერი სხვა პირდაპირი მიკეთვებადი დანახარჯი.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი

კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რომელს ემატება ტრანზაქციის დაკავშირებული ხარჯები.

ყველა ფინანსური აქტივი მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს: სავაჭრო და დებიტორული დავალიანებებს, ფულადი სასხრები და მისი ექვივალენტები

ყველა ფინანსური აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით აღრიცხვის მეთოდით. ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში პუნქტად ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი.

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადებით, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში, ხოლო სხვა შემთხვევაში ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში. მიმდინარე მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სასხრების ნაკადების მიღება. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, რომლისგან თანხის მიღება შეუძლებელია, ჩამოიწერება ხარჯებში.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე და ნაღდ ფულს სალაროში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ა) სასესხო ვალდებულებები

შპს „ლუქსი ინტერიერი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კომპანია თავისი ფინანსური ვალდებულებები განსაზღვრას მათი თავდაპირველი ღირებულებით. საპროცენტო და სხვა ხარჯები დაკავშირებული სესხთან, აღიარებულ იქნება, როგორც ფინანსური ხარჯი.

ბ)სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

რისკების მართვა

კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან. მენეჯმენტის საერთო მიზანია გაატაროს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ.

ა)საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს,რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განიხილოს კომპანია საკრედიტო რისკად, მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ბ)ლიკვიდურობის რისკი

ეს არის იმის რისკი,რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება საბრუნავი კაპიტალის მართვისას. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრების დაფინანსების შესაძლებლობას.

შპს „ლუქსი ინტერიერი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

ვ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოური ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი.

გ) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი ახდენს გავლენას კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში, ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. შესყიდვების ოპერაციები ძირითად ხორციელდება ევროში უცხოურ ბაზარზე, ხოლო გარიგებები გაყიდვებზე წარმოებს ეროვნული ვალუტით.

3.6 გაუფასურება

ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად.

შპს „ლუქსი ინტერიერი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

3.7 ამონაგების აღიარება

გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც მყიდველს გადაეცემა საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და სარგებელს. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. რეალიზებული საქონლის ფასდათმობით. აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

3.8 ფინანსური შემოსავლები და ხარჯების აღიარება

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულების შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას ლიმიტის გადაჭარბები გაწეული წარმომადგენლობის ხარჯები

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, მოხდება წინა წლებში მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით შესული წვლილებების მიხედვით, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის კოდეზე. შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი არის ურთიერთგადახურვით.

•

შპს „ლუქსი ინტერიერი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით; იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ს ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას გამოცდილებასა და სხვა ფაქტორზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც.

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივების გამოყენება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

5. ახალი სტანდარტი

კომპანია მიიღო ახალი სტანდარტები, რამდენიმე შესწორება და ინტერპრეტაცია მიღებულია პირველად 2018 წელს, მაგრამ არ აქვს გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია ვადაზე ადრე არ გადასულა სტანდარტზე, ინტერპრეტაციაზე ან შესწორებაზე, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ არარის ჯერ ძალაში შესული.

შპს „ლუქსი ინტერიერი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

ბალანსის ახსნა-განმარტებები

შენიშვნა 6

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი

	2024
ნაღდი ფული სალაროში	17 591
ფული საბანკო ანგარიშებზე	850 262
სულ	

შენიშვნა 7

მარაგები

	2024
საქონელი	1 898 394
სულ	

შენიშვნა 8

დასახელება	5.2024 წ	შემოსვლა	გასვლა	ცვლია	5.2023 წ
ოფისის აღჭურვილობა	19666	6778		6053	18941
ავეჯი და სხვა ინვენტარი	225098			60220	285318
სატრანსპორტო საშუალებები	19943			5882	25825
ელექტროსაშუალებები	57096	39931		11449	28614
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	69513			29516	99029
არამატერიალური აქტივი	31200	31108		3446	3538
სულ	422516	77817		116566	461265

შპს „ლუქსი ინტერიერი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 9

ვალდებულებები და ხარჯების ანარიცხები

	2024
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქნილი ვალდებულებები	181 293
სულ	

შენიშვნა 10

მინდინარე საგადასახადო ვალდებულებები

	2024
საგადასახადო ვალდებულებები	60 214
სულ	

შენიშვნა 11

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	2024
საბანკო სესხები	0
სულ	

შენიშვნა 12

სხვა ვალდებულებები

	2024
სხვა ვალდებულებები	136 357
სულ	

შენიშვნა 13

ამონაგები

	2024
საქონლის გაყიდვა	7 698 268
სულ	

შენიშვნა 14

თვითღირებულება

	2024
გაყიდული/შემძენილი საქონელი	3 387 058
სულ	

შპს „ლუქსი ინტერიერი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 15

დასაქმებულთა ანაზღაურება

	2024
სულ	2 266 002

შენიშვნა 16

სხვა შემოსავალი /ზარჯი

	2024
საკურსო სხვაობა სავალუტო ოპერაციებიდან	-16 027
სულ	

შენიშვნა 17

კაპიტალი

	2024
საწესდებო კაპიტალი	2 000
დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება	2 910 412

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2000 ლარს. საწესდებო კაპიტალის მუხლებში ცვლილება არ მომხდარა.

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია, ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლოდა ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია და სხვადასხვა გვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. აღნიშნული ქმნის საგადასახადო რისკებს, რომელიც უფრო არსებითია , ვიდრე სხვა ქვეყნებში.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობის გამო, დირექტორის ბრძანებით, 2024 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა პროგრამისა და აღრიცხვის სისტემის ცვლილება და გადასვლა საშუალო შეწონილის მეთოდიდან ფიფო მეთოდზე. აღნიშნული ცვლილების შედეგად შესრულდა ნაშთების სისტემური გადათვლა და გასწორება, რამაც გამოიწვია ცვლილებები ძირითად საშუალებებში, დაგროვილ ცვეთაში, მარაგებში (მცირე სხვაობით),სავალუტო ოპერაციებში. აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია გაუნაწილებელი მოგების კორექტირება.